გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 225 საკითხის განხილვაში. ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის და გორის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრი.

დავესწარი ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის 12 სხდომას სადაც მონაწილეობა მივიღე 87 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის - 13 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 20 საკითხი.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

მთელი წლის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩეველს ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- შევხვდი სოფელ **დიდი გარეჯვრის** მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ ცენტრალურ ქუჩას ზაზა მუნჯიშვილის სახელი მიენიჭოს. ითხოვენ ასევე ბავშვთა ატრაქციონების მოწყობას, სარწყავი არხის გაწმენდას სოფლის ცენტრში და სკვერის მოწყობას. მინი ფეხბურთის მოედნის მოწყობას. ითხოვენ სანაგვე ურნების დამატებას და სანიაღვრე არხების მოწესრიგებას.
- შევხვდი **სათბურის დასახლების** მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ სასმელი წყლის სისტემის მოწყობას,ასევე ითხოვენ ბინების სახურავების შეცვლას, ხელოვნური საფარის დაგებას მოედანზე, სასმელი წყლით უზრუნველყოფას და კორპუსებს შუა ეზოების მოწყობას.
- შევხვდი **პატარა გარეჯვრის** მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ სავარგუილებთან მისასვლელი გზების მოხრეშვას და სკოლის ეზოს სემოღობვას.
- შევხვდი **სოფელ კარალეთის** მოსახლეობას, რომლებიც ითხოვენ დარჩენილ უბნებში გარეგანათების მოწყობას და დიდი ორღობის უბანში სანიაღვრე არხის მოწყობას.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში.

გარდა ამისა, მოსახლეობას თხოვნით საკრებულოში შევედი ინიციატივით : სოფ დიდ გარეჯვარში, ცენტრალურ ქუჩას ეწოდოს, 1992 წელს საქართველოს ერთანობისათვის დაღუპული ზაზა მუნჯიშვილის სახელი. ინიცირების პროცესი ამჟამად მსვლელობაშია.

ასევე მოსახლეობის თხოვნით ,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან მოხდა შეთანხმება სოფლებში : კარალეთი, პატარა გარეჯვარი, დიდი გარეჯვარი და სათბურის დასახლება განხორციელდეს წყალმომარაგების პროექტი.სამუშაოები დაწყებულია.

აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფ. კარალეთი **2024 წლის 29 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: მამუკა ბაზანდარაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ს.კარელეთის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი ლელა ბზიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე- ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის მამუკა ბაზანდარაშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი მამუკა ბაზანდარაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის წესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს მამუკა ბაზანდარაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის ნოემბრიდან 2024

წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა მამუკა ბაზანდარაშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: თენგიზ სუხიტაშვილმა და მერაბ ფირუაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: **ბექა ლობჟანიძე;**

საკრებულოს წევრი: **მამუკა ბაზანდარაშვილი.**